HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 28 მაისს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:

„ანტიდისკრიმინაციული კანონი თანასწორობის პოლიტიკისთვის“

ძირითადი მომხსენებლები:

გიორგი გოცირიძე - იურისტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თამარ კორძაია - საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება“

გოჩა ლორთქიფანიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

მოდერატორი:

თამარ გურჩიანი, იურისტი

თამარ გურჩიანი - მოგესალმებით. დარბაზში მყოფი ხალხის რაოდენობა მე მგონი მეტყველებს იმაზე, რომ ამ თემამ ცოტათი დაკარგა აქტუალობა და რომ ჩვენი ტრადიციული დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ შევინარჩუნეთ. ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი დღევანდელი მსჯელობის საგანია კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მიიღო პარლამენტმა. მთელი ეს ბრძოლა იმით ხასიათდებოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანონი მიღებულ იქნა, უკვე დიდ გამარჯვებად შეირაცხა. ის ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ თუ ემხრობოდნენ ამ კანონის მიღებას, მისი შინაარსით, როგორც ჩანს არ ყოფილან დაინტერესებულნი, ყოველ შემთხვევაში დეტალები სიღრმისეულად არ განუხილავთ. დღევანდელი დამოკიდებულებაც სწორედ იმას ადასტურებს, რომ მართალია კანონი მივიღეთ, მაგრამ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი, მათ შორის თანასწორობის ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმება და ამ ფუნქციის სახალხო დამცველისთვის გადაბარება, თანდათან ამოტივტივდება და წარმოჩინდება, როგორც საკმაოდ პრობლემატური.

ჩვენი მთავარი კითხვა დღეს ალბათ სწორედ ის იქნება, ამ კანონის მიღება პარლამენტის მიერ რეალურად იყო თუ არა გამარჯვება. შესაძლოა, ის, რაც მივიღეთ, უკეთესი მოდელი იყოს მოლდოვის მოდელთან შედარებით, მაგრამ საინტერესოა რეალურად შეცვლის თუ არა ის რამეს თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რამდენად ორიენტირებული იქნება სახელმწიფო იმაზე, რომ თანასწორობის პოლიტიკა გაატაროს.

ბოლო დღეებში საზოგადოების ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ ქალების მიმართ ადგილი აქვს არა მარტო დისკრიმინაციას, არამედ გვესმის ფიზიკური ძალადობის ბრუტალური შემთხვევების შესახებ და ეს არ არის მხოლოდ სტატისტიკა, ეს არის კატასტროფა, რომელიც ხდება ჩვენს საზოგადოებაში. ამ კანონის დაცვის ობიექტი ბევრს მხოლოდ სექსუალური უმცირესობები ეგონა, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ დისკრიმინაციის ყველაზე მძაფრი ფორმა, როგორიც არის ფიზიკური ძალადობა და სიცოცხლის განადგურება, [ემუქრება] ქალებს. შეუძლია თუ არა ამ კანონს არსებული ფორმით, სიტუციის შეცვლა? აქვთ თუ არა ქალებს მისი სახით ხელთ რაიმე ინსტრუმენტი? პარლამენტმა ან მთავრობამ იფიქრა თუ არა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე, რომელიც დღეს არის დისკრიმინაციის მსხვერპლი და რამდენად გააზრებულად გადაიდგა ეს ნაბიჯი?

ამ თემაზე სასაუბროდ ძალიან საინტერესო სტუმრები გვყავს მოწვეული, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლებიდან: საქართველოს პარლამენტის წევრი ფრაქციიდან „ქართული ოცნება“, თამარ კორძაია, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე და გიორგი გოცირიძე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან“. მოდით, ჯერ ვისაუბროთ საქართველოს პარლამენტის პოზიციაზე, შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს მოვუსმინოთ, ბოლოს კი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გიორგი გოცირიძე, იმედი მაქვს კრიტიკულად შეაფასებს ამ ყველაფერს. მოხსენებების დასრულების შემდეგ დარბაზს მიეცემა კითხვების დასმის და კომენტარის გაკეთების საშუალება.

თამარ კორძაია - მოგესალმებით. არ ვიცი რა უნდა გითხრათ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით. ვიცი, რომ აქ მყოფმა ყველა ადამიანმა კარგად იცით რას წარმოადგენს ეს კანონი და რა მექანიზმებს ითვალისწინებს ის. ალბათ ჩემი ადგილიდან საუბრის ერთადერთი გამართლება ის არის, რომ პარლამენტის წევრის სტატუსი მაქვს, სხვა არაფერი, იმიტომ რომ თქვენ გაცილებით კომპეტენტურნი ხართ ამ საკითხში. ამ კანონზე საუბარს შევეცდები არა პარლამენტის, არამედ მოქალაქის პოზიციიდან. ძალიან რთულია, რა თანამდებობაც არ უნდა გქონდეს, დაკარგო მოქალაქის პოზიცია. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ასეა. ასე რომ ვიდრე გიორგი გოცირიძე გააკრიტიკებდეს ამ კანონს, მეც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

ყველა დისკუსიაზე ვამბობთ, რომ მიღწევაა ამ კანონის მიღება. დღესაც მიმაჩნია, რომ იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც არის ქვეყანაში, ამ კანონის მიღება არის გარღვევა. საქართველოს პარლამენტში მისი მიღება იოლი არ ყოფილა. იმიტომ რომ ძალიან დიდი ზეწოლა იყო პარლამენტზე და პარლამენტის თითოეული წევრის მიმართ იყო აგრესია როგორც სასულიერო პირების, უფრო არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ მინდა სასულიერო პირების მარგინალიზაცია მოხდეს ჩვენი დისკუსიების ფარგლებში. უნდა ვთქვათ, რა იყო, ზუსტად ისე, როგორც იყო.

მეორე მხრივ სავსებით სამართლიანად, კრიტიკის ობიექტები ვიყავით არასამთავრობო სექტორის მხრიდანაც. მაგრამ მათგან მოდიოდა კვალიფიციური და სამართლიანი კრიტიკა, ხოლო როდესაც საკომიტეტო მოსმენაზე სასულიერო პირების კრიტიკას ვისმენდით, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მათ წაკითხულიც კი არ ჰქონდათ კანონი. ყოველ შემთხვევაში, თუ წაკითხული ჰქონდათ, ამ სიტყვებმა ისე დაუბინდათ გონება, რომ ვერ გაიაზრეს, რაზე იყო კანონში საუბარი.

ეს კანონი, თამარმაც აღნიშნა, რა თქმა უნდა არ ეხება მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ან გენდერული იდენტობის თვალსაზრისით დისკრიმინაციას. გაცილებით უფრო ღრმა და დიდი პრობლემების წინაშე ვართ საქართველოში, ამიტომ კანონი რამდენად ადგენს აღსრულების მექანიზმებს, ეს კიდევ სხვა საკითხია და მეორეა, საერთოდ როგორ გვესმის მისი შინაარსი. კანონში საუბარია იმაზე, რომ დისკრიმინაცია სქესის მიხედვითაც არსებობს, წარმოშობის ადგილის მიხედვითაც, და შეიძლება ინტონაციას და კილოსაც გულისხმობდეს, და ამ ნიშნით ვახდენდეთ ადამიანების დისკრიმინაციას ქვეყანაში, ასევე არსებობს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. მაშინ, როდესაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანს ცემენ ქუჩაში და მერე არაადეკვატური კომენტარები ისმის, ესეც ამ კანონის თემაა. არ მინდა დავვიწროვდე სექსუალურ ორიენტაციაზე, გაცილებით დიდი პრობლემების წინაშე ვართ ქვეყანაში.

ერთხელ, როდესაც სტუდენტობის დროს მეგობრები ქალისა და კაცის ურთიერთობაზე ვსაუბრობდით, თამარ გურჩიანმა იხუმრა, რომ სარეცხის მანქანის ღილაკსაც კი კაცმა უნდა მიაჭიროს ხელიო. მაშინ ეს სასაცილოდ არ გვეყო, მაგრამ თუ საჭიროა, კაცმაც უნდა მიაჭიროს და ქალმაც. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ასეთი ყოფითი ურთიერთობებიდან თუ არ დავიწყებთ ამ კანონის გააზრებას, ის იქნება ისეთივე კანონი, როგორიც ბევრი არსებობს ჩვენს ქვეყანაში, იარსებებს მხოლოდ დეკლარაციის დონეზე და მისი არც შინაარსი დაინტერესებთ და არც სული. ამ შემთხვევაში მისი აღსრულების მექანიზმებზე საუბარიც ზედმეტი იქნება, იმიტომ რომ ვიღაც შეიძლება ვაიძულოთ, ვიღაც შეიძლება ციხეში გავუშვათ ან არ გავუშვათ და ა.შ.

როგორც პარლამენტის წევრი როგორ ვხედავ ამ კანონის მოქმედებას მომავალში? კარგია, რომ სახალხო დამცველს აქვს საჩივრის ინდივიდუალურად განხილვის და წარმოების ჩატარების ვალდებულება, მაგრამ ის, რომ ეს თემა დღეს ასეთ ვიწრო წრეში განიხილება, დიდი პრობლემაა. იმიტომ არა, რომ ჩვენ თვითონ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის დამცველების ჯგუფი, შეიძლება თავად გავხდეთ დისკრიმინაციის მსხვერპლი. უბრალოდ, ჩვენი დისკუსიები ვერ გაცდა ამ ფარგლებს და ეს არის ყველაზე სამწუხარო.

თქვენს ყურადღებას მივაქცევდი კანონის მე-4 მუხლზე - „დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები“, სადაც წერია, რომ „დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას“. ვისურვებდი, რომ სხვა დისკუსიებზე გვენახა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, რომლისგანაც ვისურვებდი მომესმინა სტრატეგია, თუ როგორ ხედავს განათლების სამინისტრო ამ კანონის განხორციელებას თავის საქმიანობაში, დაწყებული საბავშვო ბაღებიდან, დამთავრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით. იმიტომ რომ აქ არის ძალიან კარგი და სწორი ფრაზა, რომელსაც შეგვიძლია კარგად ჩავეჭიდოთ და მოვთხოვოთ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, რომ დავინახოთ, როგორ მიუსადაგებს თავის საქმიანობას ამ კანონს და როგორ ხედავს მის რეალობაში განხორციელებას.

ეს აზრი იმიტომ გამიჩნდა, რომ მეც, როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრ მოქალაქეს, მყავს შვილები. ჩემი შვილების სკოლაში ინკლუზიური განათლების ელემენტები შემოიღეს. ჩემი შვილის კლასელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. დავდექით პრობლემის წინაშე - ამ ბავშვს ამოჩემებული ჰყავდა ჩემი შვილი, ურტყამდა, ცემდა, დასდევდა. არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, იმიტომ რომ ბავშვი ძალიან იყო შეწუხებული და მეკითხებოდა, როდემდე უნდა მოეთმინა. ავუხსენი, რომ ეს იყო ის, რაც მას უნდა გაეკეთებინა როგორც მოქალაქეს, როგორც კლასელს, როგორც ადამიანს და ვუთხარი, რომ შესაძლოა ის რაღაცას სწორად ვერ იგებდა. ვესაუბრე მასწავლებელს, მან დაიბარა იმ ბავშვის მშობელი და აღმოჩნდა, რომ მართლა ვერ ვუგებდით, რადგან ის თავისი აგრესიით სიყვარულს გამოხატავდა. ასე ახსნა მშობელმა თავისი შვილის ქცევა. მე სკოლაში არ მივსულვარ და ბავშვს არ დავლაპარაკებივარ, რადგან ვიფიქრე, რომ ეს ჩემი მხრიდან ზედმეტი ჩარევა იქნებოდა. ეს დღესაც ასე გრძელდება, ისინი დღესაც კლასელები არიან, მაგრამ ჩემი შვილი დღეს ამაზე სახლში აღარ საუბრობს, ამას პრობლემად აღარ აღიქვამს. მივედით იქამდე, რომ ერთხელ, როდესაც გამოეკიდა და ჩემს შვილთან ერთად ჩაჯდა მიკროავტუბუსში, მიხვდა, რომ დაიკარგებოდა, ამიტომ მასთან ერთად ჩამოვიდა, მასწავლებელს დაურეკა და ა.შ. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ რთული იყო, მაგრამ ვისწავლეთ ურთიერთობა, შევეცადეთ ურთიერთობას. როდესაც მასწავლებელს ვესაუბრებოდი, მან ისიც კი თქვა, არ იცოდა სწორად მოიქცა თუ არა, როდესაც ეს ბავშვი კლასში აიყვანა, ანუ მისთვისაც მძიმე იყო ეს ყველაფერი. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამ მასწავლებელსაც სჭირდება მხარდაჭერა და მე ვიგრძენი, რომ მას ეს არ ჰქონდა, როგორც მასწავლებელს. ეს არის მაგალითი, რომელიც შესაძლოა ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებაში მოხდეს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ახლა უნდა მივიდეთ იმ ხალხთან, ვისაც ამ კანონის აღსრულება ევალება და ვაიძულოთ ისინი, იფიქრონ ამაზე.

თამარ გურჩიანი - ვიდრე აღსრულებამდე მივალთ, როგორ ფიქრობ, ეს კანონი აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რაც გექნებოდა როგორც იურისტს და პარლამენტის წევრს?

თამარ კორძაია - არა, ამაზე ვთქვი, რომ ვიზიარებ არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციას და მიმაჩნია, რომ მას არა აქვს ეფექტიანი დაცვის მექანიზმები.

თამარ გურჩიანი - შენთვის კანონპროექტის რომელი ვერსია იყო უფრო მისაღები?

თამარ კორძაია - ეს კანონი კარგი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა უფრო მყისიერი და ეფექტიანი მექანიზმების, დაჯარიმების გამოყენების შესაძლებლობა. იმას არა აქვს მნიშვნელობა, ამას ვინ გააკეთებდა, სახალხო დამცველი თუ თანასწორობის ომბუდსმენი. თუ სახალხო დამცველს ეყოლება სათანადო აპარატი, მას ნამდვილად არ გაუჭირდება ამის შესრულება. ამასი ეჭვი არ მეპარება.

მინდა გავიხსენო ნინო გოგუაძის გამოსვლა ამ კანონთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ ეს იყო საუკეთესო გამოსვლა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. მან თქვა, რომ ზოგადად ადამიანია უმცირესობა და ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს ასეთ მდგომარეობაში. შემიძლია გითხრათ, რომ ამ კანონის დაცვის გამო მეც აღმოვჩნდი უმცირესობაში, მოგეხსენათ, რომ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ნაძალადევის რაიონში და „ქართული ოცნების“ არცერთ კანდიდატს არ უნდა, რომ გავყვე კამპანიის პროცესში. ასე რომ არ არის აუცილებელი, საკუთარ თავზე ვიგრძნოთ ეს ყველაფერი, მაგრამ თუ ვერ ვგრძნობთ, ან მგრძნობელობა არ გვაქვს, ან კარგად ვერ ვიხედებით, იმიტომ რომ ჩვენს ცხოვრებაში ისე ღრმად არის დისკრიმინაციის ფესვები, შეუძლებელია არ ვიგრძნოთ ამ კანონის არსი. ვალდებულნი ვართ, თვითონაც ვიზრუნოთ ამაზე და თითოეულ დაწესებულებას, განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულებებს, მოვთხოვოთ ხედვა, როგორ წარმოუდგენიათ ამ კანონის გატარება. თუ ამის შესრულების სურვილი არა აქვს არავის, როგორი მექანიზმებიც არ უნდა შემოვიღოთ, ეს იქნება დამსჯელი ღონისძიება და არ გვექნება განვითარებული საზოგადოება.

თამარ გურჩიანი - მე მგონი საინტერესო პერსპექტივა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ჩემთვის მოულოდნელი იყო და იმედი მაქვს, რომ დისკუსიის დროს ბევრი კითხვა დაისმება. საპარლამენტო განხილვების მიმართ ნამდვილად იყო საზოგადოებრივი ინტერესი, რაც სამწუხაროდ აკლდა იმ ეტაპს, როდესაც კანონპროექტზე იუსტიციის სამინისტრო მუშაობდა. ვგულისხმობ ფართო საზოგადოების ყურადღებას, თორემ არასამთავრობო ორგანიზაციები სამუშაო პროცესში ჩართულები იყვნენ. ჩემი აზრით ის პირველადი პროდუქტი, რაც გვქონდა იუსტიციის სამინისტროში, შესანიშნავი იყო. სწორედ ახლა შემოგვიერთდა კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც მუშაობდა ამ საკითხზე - ბექა ძამაშვილი. ამიტომ ძალიან საინტერესოა იუსტიციის სამინისტროს პოზიცია.

თამუნა კორძაია გამორჩეულია თავისი გულწრფელობით და მადლობელი ვარ, რომ ახლაც ასეთი გულწრფელობით ისაუბრა, მათ შორის საარჩევნო კამპანიაში მის ჩართულობასთან დაკავშირებით. იქნებ იუსტიციის სამინისტროს პოზიციაზეც ასევე გულახდილად გესაუბრათ, ბატონო გოჩა. როგორ აფასებთ იმ პროცესს, ვიდრე კანონპროექტი მთავრობას გადაეცემოდა განსახილველად. ასევე იქნებ გულწრფელად გვითხრათ თქვენი აზრი მთელ ამ პროცესზე, დაწყებული კანონპროექტის სამთავრობო თუ საპარლამენტო განხილვებით, როგორ აფასებთ საბოლოო პროდუქტს, რაც მივიღეთ? როგორი იქნებოდა თქვენი აზრით ამ კანონის იდეალური სახე? და თუკი არ არის და ვიცით, რომ არ არის ეს კანონი იდეალური, როგორ შეგვიძლია მისი ამოქმედება. შეუძლია თუ არა მას სახელმწიფოს წინ წაუძღვეს თანასწორობის პოლიტიკის თვალსაზრისით?

გოჩა ლორთქიფანიძე - ოცი წელი გავატარე საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში. იქ ჩემს საქმიანობაში ძირითადი ფოკუსი იყო, რაზე არ მელაპარაკა. იუსტიციაში მუშაობის შემდეგ ფოკუსი შეიცვალა და გახდა, რაზე ვილაპარაკო. თუმცა ორივე შემთხვევაში გულწრფელი ვიყავი და ახლაც გულწრფელი ვიქნები. ეს იქიდანაც ჩანდა, თუ როგორ უდგებოდა იუსტიციის სამინისტრო ამ კანონპროექტზე მუშაობისას საკითხს და იმ პროცესიდან, რაც გვქონდა სხვადასხვა ენჯეო-ორგანიზაციასა და ჯგუფებთან ამ კანონპროექტის შემუშავების პროცესში.

რა თქმა უნდა ბუნებრივი და ლოგიკურია, ჩემგან, როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლისგან და ამ კანონპროექტის თანაავტორისგან მოელოდეთ [თქმას], რომ მომზადებული კანონპროექტი იყო საკმაოდ კარგი, შეჯერებული. მაგრამ არის რამდენიმე პერსპექტივა, საიდანაც ამ საკითხს შეიძლება შევხედოთ. ერთია მაქსიმალისტური, მეორე - რეალისტური. გახსოვთ დებატები იმის შესახებ, საიდან დაიწყო ეს. ჩვენს ერთ-ერთ შეხვედრაზე გაიჟღერა იმ აზრმაც, საერთოდ რა საჭიროა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი იმის გათვალისწინებით, რომ გვაქვს კანონმდებლობის სხვადასხვა სფერო, სადაც გაბნეულია ეს საკითხები. ბევრს მიაჩნდა, რომ ეს საკითხი მოწესრიგებული იყო და ერთიანი საკანონმდებლო აქტის გარეშეც შეგვეძლო გვეცხოვრა. მინდა შეგახსენოთ დებატები, რომელიც მოყვა ამ კანონპროექტის მიღებას. ამ დებატებმა ნათლად დაგვანახა, რომ საზოგადოებაში არ არსებობს ადეკვატური აღქმა, რას ნიშნავს დისკრიმინაცია. ამ დებატებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოება ისე მიეჩვია დისკრიმინაციის გამოვლინებას, რომ უკვე ნორმა გვგონია. თუ ამ გადმოსახედიდან შევაფასებთ მიღებულ კანონს, ის რა თქმა უნდა ასახავს ძალიან რთულ, მაგრამ გარკვეულ კონსენსუსს. არ ვგულისხმობ იმას, რომ რომელიმე ჯგუფმა მაქსიმუმი მიიღო. ამ ჯგუფების ინტერესების შეჯერების შედეგად, რაც პარლამენტში გაგრძელდა, მივიღეთ კანონი, რაც გვაქვს.

იმ გადასახედიდან, რა პრობლემების წინაშეც ვდგავართ, მაინც მიმაჩნია, რომ ამ ეტაპისთვის ეს კანონი ადეკვატურად ასახავს იმას, სადამდე შეეძლო ერთიანად, მთავრობასაც, პარლამენტსაც და მთლიანად საზოგადოებასაც, წასვლა. მეორე მომენტია ის, რომ პირველსაწყისი ფორმით რომ მიგვეღო, არც ის იქნებოდა გარანტია, რომ კანონი ეფექტიანად იმოქმედებდა. კანონის ეფექტიანი ამოქმედების გარანტია არის მთელი საზოგადოების პოზიცია. ამის გარანტია არის ინსტიტუციურ მექანიზმებში. ასევე უფრო მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების შეურიგებლობა, კანონით დაშვებულ ფარგლებში არ დაუშვას ისეთი გადაცდომა და ბევრ შემთხვევაში დანაშაული, როგორიც

არის დისკრიმინაცია. ასეთია ჩემი მიმართება ამ საკითხთან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიდრე ინსტიტუციურ მექანიზმამდე გადავალთ, რაც დებატების ყველაზე დიდი საგანი იყო, ბოლოს და ბოლოს ისიც დასაფასებელია, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში გაჩნდა დისკრიმინაციის პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმის დეფინიცია. მანამდე არც ეს გვქონდა. იმიტომ რომ იმ ინსტიტუციურ მექანიზმზე გადასვლამდე ხომ უნდა ვილაპარაკოთ ნორმატიულ შემადგენელზე, რის საფუძველზეც ფუნქციონირებს ეს მექანიზმი.

ჩვენ თავიდანვე მიგვაჩნდა, რომ ეს არის მრავალასპექტიანი პრობლემა. დისკრიმინაცია არ არსებობს მხოლოდ იმ ერთი ნიშნით, რაზეც ყველა ფოკუსს აკეთებს, არამედ ეს არის ქმედება, მიმართული ყველა მოწყვლადი ჯგუფის, მათ შორის ქალების წინააღმდეგ. გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე ხშირად ეს ასპექტი ჩემგან მოდიოდა, იმიტომ რომ მიმაჩნია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი არის ქალები. და ალბათ იმ სტადიამდე მივედით, რომ ბევრ ტაბუდადებულ საკითხზე ლაპარაკიც შეიძლება. გარდა ამისა ისიც ფაქტია, რომ კანონპროექტი ეხება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს. ვფიქრობ, ეს მიღწევა თუ არა, სერიოზული ნიშნული მაინც არის იმის, სადამდეც ჩვენი საზოგადოება ამ ეტაპზე მივიდა.

რაც შეეხება ინსტიტუციურ მექანიზმებს და მიღებული კანონის ეფექტიანობას. კანონპროექტზე მუშაობისას წარმოდგენილი გვქონდა, რომ გარდა კანონპროექტის მიღებისა, ყველა სამინისტრო წარმოადგენდა სამოქმედო გეგმას. გარემო ამ კანონის ასამოქმედებლად ძალიან მნიშვნელოვანია და ის უკვე იცვლება იმ გაგებით, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლახანს მივიღეთ ადამიანის უფლებათა 7 წელზე გაწერილი სტრატეგია. იქ გამოკვეთილი პრიორიტეტია თანასწორობის უზრუნველყოფა და უმცირესობების უფლებების დაცვა. ამ სტრატეგიიდან სამოქმედო გეგმებში უნდა გარდაისახოს ის, რასაც ვფიქრობ, გულისხმობდა ქალბატონი თამარი. ასე რომ ინსტიტუტებს ექნება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რამაც უნდა შექმნას გარემო კანონის ეფექტიანობისთვის.

ეს არის მუდმივი დახვეწის პროცესი. ეს კანონი ამოქმედდება. მთავარია, რომ პოლიტიკური ნება, რაც გამჟღავნდა ამ კანონში, რომ ვებრძოლოთ დისკრიმინაციის ყველა ფორმის გამოვლინებას, ამ საზოგადოებაში არის. შემდგომი დახვეწა და ეფექტიანობის ამაღლებაც, მე მგონი ჩვენს ხელშია. კანონი არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სტატიკური აქტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო და ამით ყველაფერი დასრულდა. ეს არის ამ გზის დასაწყისი.

თამარ გურჩიანი - ბატონო გოჩა, თქვენი სიფრთხილე გასაგებია, ასევე კარგია ოპტიმიზმი, მაგრამ კონტექსტი, რომელიც როგორც თქვენ წარმოაჩინეთ, წინ მიდის და პროგრესირებს, შეიძლება თუ არა, რომ ძალიან მძიმედ მოგვიბრუნდეს, თუკი პრემიერ-მინისტრის ცნობილი ინიციატივა კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ, რომ ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირი, ჩაიწერება კონსტიტუციაში. ღმერთმა იცის, კიდევ რა ინტერვენციებს შეიძლევა ველოდეთ კონსტიტუციაში იმის მიხედვით, მთავრობას როგორ მოუნდება საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის დაკმაყოფილება, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ.

მე არ გთხოვთ იმის აღიარებას, რომ იუსტიციის სამინისტრო კონფლიქტშია მთავრობასთან და პრემიერ-მინისტრის აპარატთან. მე მინდა თქვენი, როგორც პროფესიონალის შეფასება, თუკი კონსტიტუციური ბალანსი ასე დაირღვა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, რომ ასეთი უხეში ინტერვენციები განხორციელდა სწორედ თანასწორობასთან დაკავშირებით, მაშინ რაში გვჭირდება 7 წელზე გაწერილი სტრატეგია? ელით თუ არა ამას და როგორ ფიქრობთ, თუკი იქნება კონფლიქტი იუსტიციის სამინისტროს პოზიციებსა და მთავრობის პოზიციებს შორის, ვის სასარგებლოდ გადაწყდება?

გოჩა ლორთქიფანიძე - როგორც ამერიკაში იტყვიან, ეს მილიონდოლარიანი შეკითხვაა. შევეცდები გიპასუხოთ და ამ შემთხვევაში სიფრთხილე არ არის მნიშვნელოვანი. ყველაფერი არის ბალანსი. მე არ მისაუბრია ოპტიმისტური პოზიციებიდან. მე ვლაპარაკობდი ამ ეტაპზე რეალისტური პოზიციებიდან, ანუ პოზიციებიდან, სადაც ვართ, იმ ნიშნულიდან სად შეიძლება იყოს პრობლემები. არ მითქვამს, რომ პრობლემები არ იქნება. მაგრამ ამ პროცესში სადამდე წავალთ, ეს ყოველი ჩვენგანის პოზიციაზეა დამოკიდებული. მათ შორის იუსტიციისა და პრემიერ-მინისტრის პოზიციაზე, რომელთა შორის არ არის წინააღმდეგობა, ჩვენი როგორც მოქალაქეებისა და იურისტების პოზიციაზე იუსტიციაში, ასევე მთავრობის ადმინისტრაციაში, პარლამენტარების პასუხისმგებლობასა და პოზიციაზე და არასამთავრობოების პოზიციაზე. აი ეს ბალანსი განსაზღვრავს იმას, სად წავალთ. კანონის მე-5 მუხლს თუ შეხედავთ, მიუხედავად დებატებისა და წინააღმდეგობისა, რაც ამ მუხლს ახლდა თან, წერია, რომ „ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი არარად აქცევდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე უფლებას ან თავისუფლებას ან ზღუდავდეს მას იმაზე მეტად, ვიდრე ეს თვით ამ ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული“. თავად კონსტიტუციაშიც არის მრავალი სხვა მუხლი, რომელიც არის იმის გარანტია, რომ ეს პროცესი ისე წარიმართება, როგორც არის განსაზღვრული და არ შელახავს ადამიანის უფლებებს. და როგორ გამოვიყენებთ მას, ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

თამარ გურჩიანი - ახლა ჩვენს ბოლო მომხსენებელს, გიორგი გოცირიძეს მოვუსმინოთ. როგორ ფიქრობ, გიორგი, ამ კანონის მიღების შემდეგ ქართველ ქალებს, რომლებიც დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომლებიც ასევე დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან, ან ქართველ ლესბოსელ, ბისექსუალ, გეი და ტრანსგენდერ მოქალაქეებს აქვთ თუ არა უფრო მეტი იმედი. რა შეიცვალა მათთვის? და რა შეიცვლება მას შემდეგ, რაც მთლიანად ამოქმედდება ეს კანონი. რა უნდა დაემატოს მას, რა შეცდომები დაუშვა პარლამენტმა, იბრძოლა თუ არა ბოლომდე იუსტიციის სამინისტრომ, მთავრობა რა კომპრომისებს გეგმავს, არის თუ არა პრემიერ-მინისტრის კონსტიტუციური ცვლილების იდეა ჯანსაღი იდეა. გთხოვ მთლიანი კონტექსტის შეფასებას.

გიორგი გოცირიძე - მოგესალმებით. ჩვენ სერიოზული შანსი გავუშვით ხელიდან, შეგვექმნა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმი და ეს შანსი

დაიკარგა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ამ კანონპროექტის ინიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტში. იუსტიციის სამინისტროს მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. საუკეთესო მაგალითი იყო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის და იმ ჯგუფების ჩართულობის, ვისაც შესაძლოა შეხებოდა ეს კანონი, მათ შორის რელიგიური უმცირესობა, ეთნიკური უმცირესობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. იუსტიციის სამინისტრო საკუთარ პროდუქტს ერთი წლის განმავლობაში პერიოდულად აცნობდა ამ საზოგადოებრივ ჯგუფებს, ისმენდა მათ შენიშვნებს და ა.შ. ეს ნამდვილად მისასალმებელი იყო და არსებობდა მხარდაჭერა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიმართ.

დავსვათ კითხვა ასე - რატომ გახდა საჭირო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება? რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი? ერთია ინტეგრაცია, ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი, მაგრამ ამის მიღმა რატომ გახდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონის მიღება? ამ კანონით ქვეყანაში იკრძალება დისკრიმინაცია მათ შორის იმ ჯგუფების, რომელთა მოხსენიებაც დავის საგნად გადაიქცა ეკლესიის მხრიდან. ამ ქვეყანაში დიდი ხანია იკრძალება დისკრიმინაცია. იკრძალება იმ დროიდან, როდესაც მივიღეთ საქართველოს კონსტიტუცია, 1994 წლიდან, როდესაც გავუკეთეთ რატიფიცირება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტს. ასე რომ ეს კანონი ამ კუთხით სიახლეს არ გვთავაზობს. მისი მიღების მიზანი იყო ის, რომ შექმნილიყო ეფექტიანი მექანიზმი. მართალია, დისკრიმინაცია აკრძალულია, მაგრამ გვჭირდება ეფექტიანი მექანიზმი იმისათვის, რათა დისკრიმინაციის ფაქტები არ რჩებოდეს რეაგირების გარეშე. ეს განსაკუთრებით ეხება კერძო სექტორს, სადაც დისკრიმინაციის ფაქტები არათუ დაუსჯელი რჩებოდა, არამედ არავინ იცოდა რა ხდებოდა კერძო დამსაქმებლების მხრიდან ქალებთან ან სხვა ჯგუფებთან მიმართებით. სახელმწიფოს მხრიდან ამ ფაქტებს სათანადო რეაგირება სჭირდებოდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოიფიქრა ინსპექტორის მექანიზმი. ეს უნდა ყოფილიყო რეპრესიული ტიპის მექანიზმი, რომელიც არა მხოლოდ მიუთითებდა დისკრიმინაციის განმახორციელებელ სახელმწიფო დაწესებულებებს ან კერძო პირებს დისკრიმინაციული ქმედების შესახებ, არამედ ექნებოდა ამ ფაქტებზე ეფექტიანი ზემოქმედების მექანიზმი დაჯარიმების ფორმით. რეალურად, იმ კანონპროექტის ერთ-ერთი ღირსება სწორედ ჯარიმის ინსტიტუტის შემოღება იყო. მთავრობის არგუმენტი შემდეგი იყო - რა საჭიროა ასეთი მექანიზმის შემოღება, როდესაც ადამიანის დისკრიმინაცია სისხლისსამართლებრივად დასჯადია. მაგრამ როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსით იკრძალება ძირითადად ძალადობრივი ხასიათის ქმედებები, დისკრიმინაცია კი თავისი არსით შესაძლოა არაძალადობრივ ქმედებაშიც გამოიხატოს, თუნდაც სეგრეგაციის გავრცელებული ფორმა ავიღოთ, რომელსაც შესაძლოა ძალადობრივი სახე არ ჰქონდეს. იყო შემთხვევები, როდესაც სხვა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს უარი ეთქვათ კონკრეტული მომსახურების გაწევაზე. მაგალითად ერთ-ერთი საცურაო აუზიდან გაყარეს შავკანიანი ადამიანები. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს უარს ეუბნებოდნენ სალონებში მომსახურებაზეც. ეს ფაქტები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც

ადმინისტრაციული ხასიათის პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო დაწესებული ასეთი ტიპის ქმედებებზე.

იუსტიციის სამინისტრომ ერთი წლის შემდეგ, იანვარში დაასრულა კანონპროექტზე მუშაობა. ბოლო შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ კანონპროექტი ერთ კვირაში გადაეგზავნებოდა მთავრობას. მოგეხსენებათ, პარლამენტში კანონპროექტის ინიცირების უფლება აქვს საქართველოს მთავრობას. შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრო იმიტომ ამზადებდა კანონპროექტს, რომ შემდეგ მთავრობის მეშვეობით მისი ინიცირება მომხდარიყო საქართველოს პარლმანეტში. იმ ვერსიაში, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გაგვაცნო, ჯერ კიდევ იყო გათვალისწინებული როგორც ინსპექტორის, ისე დაჯარიმების მექანიზმი. ამის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებისათვის უცნობი იყო კანონპროექტის ბედი. იანვრიდან აპრილის დასაწყისამდე ჩვენთვის უცნობი იყო რა ხდებოდა კანონპროექტთან დაკავშირებით. როდესაც კანონპროექტის ინიცირება მოხდა პარლამენტში და ის აიტვირთა პარლამენტის საიტზე, ჩვენ უცნაური სიურპრიზის მომსწრენი გავხდით, როდესაც ვნახეთ, რომ კანონპროექტიდან გაქრა ინსპექტორის ინსტიტუტი და კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახალხო დამცველს. ასევე ვნახეთ, რომ საერთოდ აღარ იყო ნახსენები დაჯარიმების მექანიზმი, რაც იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კანონს უნდა მოეტანა.

თუკი თვალს გადავავლებთ სახალხო დამცველის უფლებამოსილებას ამ ინსტიტუტის შექმნიდან 90-იანი წლებიდან დღემდე, უნდა ვთქვათ, რომ სახალხო დამცველის უფლებამოსილებები ფაქტობრივად მეორდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, ანუ სახალხო დამცველს ამ კანონის მიღებამდეც ჰქონდა უფლება სახელმწიფო დაწესებულებისთვის მიემართა რეკომენდაციით, თუკი ის დისკრიმინაციულ ქმედებას განახორციელებდა კონკრეტული პირის მიმართ, მაგალითად, თუკი დისკრიმინაციული საფუძვლით გაათავისუფლებდა ადამიანს სამსახურიდან. ერთადერთი სიახლე ის არის, რომ ამ კანონით სახალხო დამცველს უფლება აქვს კერძო დაწესებულებასაც მიმართოს რეკომენდაციით, თუმცა რეკომენდაციის მიღმა სახალხო დამცველი სხვა სახის უფლებამოსილებას მოკლებულია.

კიდევ ერთი საკითხია, თუკი სახალხო დამცველს საკითხის შესასწავლად სახელმწიფო დაწესებულებისგან აქვს ინფორმაციის სავალდებულო წესით გამოთხოვის უფლება, ახსნა-განმარტების უფლება, კერძო პირთან მიმართებით ამას მოკლებულია. კერძო პირს, რომელსაც ადანაშაულებენ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებაში, უფლება აქვს უარი უთხრას სახალხო დამცველს თანამშრომლობაზე და ინფორმაცია არ მიაწოდოს საჩივართან დაკავშირებით. სახალხო დამცველს უფლება აქვს მეორე მხარის მოსმენის გარეშე გასცეს რეკომენდაცია.

როდესაც კანონის ეფექტიანობაზე ვსაუბრობთ, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას, რა მექანიზმს შეიცავს კანონი, რა გზით შეუძლია კანონს ჩვენი დაცვა. კანონი ითვალისწინებს სამი ტიპის მექანიზმს: დისკრიმინაციული მექანიზმის აღმოფხვრა, ანუ დისკრიმინაციული ქმედების ჩადენამდე არსებული მდგომარეების აღდგენა, მეორე მექანიზმია მატერიალური ზიანის ანაზღაურება, მესამე - მორალური ზიანის ანაზღაურება. მაგრამ ავიღოთ ცოტა ხნის წინ ნახსენები შემთხვევა, როდესაც ადამიანს უარი ეთქვა სილამაზის სალონში მომსახურებაზე მისი კანის ფერის გამო. რა შეუძლია ამ ადამიანს გააკეთოს? მას შეუძლია

მიმართოს სახალხო დამცველს ან მიმართოს სასამართლოს და სალონისგან მოითხოვოს მისი სალონში დაშვება. უბრალოდ, შესაძლოა იმ დროის გასვლის შემდეგ, რაც ამ განცხადების შესწავლას სჭირდება, ადამიანმა ინტერესი დაკარგოს ამ მომსახურების გაწევის მიმართ ანუ დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა გახდეს უინტერესო და არაადეკვატური.

ცალკე თემაა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. ხშირად დისკრიმინაციული ქმედებით მატერიალური ზიანი არ დგება. თუნდაც სალონის შემთხვევა რომ გავიხსენოთ, ადამიანს ფულადი დანახარჯები არ აქვს. მორალური ზიანის ანაზღაურება ამ დრომდეც არსებობდა, თუმცა სასამართლო პრაქტიკას რომ გადახედოთ, ნახავთ, რომ მორალური ზიანის დამტკიცების სტანდარტი ძალიან მაღალია. ადამიანს მოეთხოვება იმის დამტკიცება, რომ სულიერი ტკივილი განიცადა. რომც დაამტკიცოს, ძალიან რთულია იმის გარკვევა, რამდენად ფასდება განცდილი სულიერი ტკივილი. რეალურად ეს არის ძალიან ილუზორული მექანიზმი. სასამართლო პრაქტიკაშიც ბევრჯერ ყოფილა დადასტურებული ისეთი შემთხვევები, როდესაც შეუძლებელი იყო მორალური ზიანის ანაზღაურება. შეგვიძლია გავიხსენოთ 26 მაისის შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტებს არათუ სულიერი ტკივილი მიადგათ, არამედ სერიოზული უკანონო ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სამართალდამცავებმა, მაგრამ მორალური ზიანის დადასტურება შეუძლებელი გახდა. პრაქტიკაში ძალიან რთულია ამ საფუძვლის გამოყენება. სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც გადავხედეთ. ვნახეთ ლატვიის გამოცდილება, სადაც კანონი განსაზღვრავს თანხის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ განხორციელდება დისკრიმინაცია, ივარაუდება, რომ მას მიადგა მორალური ზიანი და მინიმალური ოდენობა, რაც ამ ადამიანს უნდა აუნაზღაურდეს, არის 4 ათასი ევრო.

გამოსავლის სახით პარლამენტს შევთავაზეთ კანონში გათვალისწინებული მაინც ყოფილიყო თანხის მინიმალური ოდენობა. მაგრამ მთავრობა არც ამ კომპრომისზე წამოვიდა და კანონი დარჩა ამ ფორმით. უკვე ვისაუბრე ჯარიმის მექანიზმზე. ჩვენ ასევე შევთავაზეთ კომპრომისის სახით, ყოფილიყო სახალხო დამცველის ინსტიტუტი, მაგრამ კანონს რაღაც ფორმით მაინც გაეთვალისწინებინა დაჯარიმების მექანიზმი და ვთავაზობდით უკვე არსებულ მოდელს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ადამიანს სახალხო დამცველის კონკრეტული მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის დაეკისროს ჯარიმა. დღეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არის 173-ე 4 პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, დაჯარიმებას სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის. მაგალითად, თუკი სახალხო დამცველი დღეს მიმართავს რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას, მოითხოვს მისგან გარკვეული სახის ინფორმაციას და ეს დაწესებულება 10 დღის ვადაში არ მიაწვდის ამ ინფორმაციას, სახალხო დამცველს უფლება აქვს შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, გადააგზავნოს ის სასამართლოში და შემდეგ სასამართლომ ის დაწესებულება, რომელმაც სახალხო დამცველს არ მიაწოდა ინფორმაცია, დააჯარიმოს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტს შევთავაზეთ ეს მოდელი გამოგვეყენებინა დისკრიმინაციასთან დაკავშირებითაც. თუ სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავდა კერძო პირს ან სახელმწიფო დაწესებულებას დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, მაგრამ ის დისკრიმინაციულ ქმედებას არ აღმოფხვრიდა, სახალხო დამცველს

უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჰქონოდა ოქმის გამოწერის შესაძლებლობა, რათა შემდეგ სასამართლოს დაეჯარიმებინა ეს პირი. მეორე მოსმენაზე ამ საკანონმდებლო ალტერნატივას, წინადადებას ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა, ის გავიდა პარლამენტარების სახელით საქართველოს პარლამენტში, თუმცა მან მხოლოდ 43 ხმა მიიღო და წინადადება ჩავარდა.

კრიტიკა არ არის ჩემი თვითმიზანი. ერთ დადებით მხარესაც აღვნიშნავ, თუ რას ცვლის კანონი სამართლებრივი თვალსაზრისით. როდესაც ადამიანს სამსახურიდან ათავისუფლებდნენ დისკრიმინაციული საფუძვლით, მაგალითად ათავისუფლებდნენ რადგან ქალი იყო, ან სხვა დისკრიმინაციული ნიშნით, სასამართლოში ყოველთვის ჭირდა იმის მტკიცება, რომ მოხდა დისკრიმინაცია. ეს კანონი გვთავაზობს, დისკრიმინაციის მსხვერპლმა ვარაუდის დონეზე ამტკიცოს, რომ მის მიმართ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი, ხოლო მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, გადადის დისკრიმინაციის სავარაუდოდ განმახორციელებელზე, ამ შემთხვევაში დამსაქმებელზე. ჩემი აზრით ეს არის ერთადერთი პოზიტიური ნაბიჯი, რაც ამ კანონს ახლავს თან და იმედია, ამას სასამართლოში გამოიყენებენ.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ალბათ იქნება ის, რომ სახალხო დამცველი მაინც მიმართავს რეკომენდაციით კერძო დაწესებულებებს და საქართველოს პარლამენტს ინფორმაცია მაინც ექნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება კერძო სექტორში. ანუ სახალხო დამცველის ანგარიშების მეშვეობით მას ექნება ინფორმაცია კერძო სექტორზე. ალბათ ესეც მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ რა ხდება სფეროში, რომელზეც აქამდე სახალხო დამცველის უფლებამოსილება არ ხორციელდებოდა. აი ეს არის ორი დადებითი მონენტი, თუმცა ეს არის ძალიან უმინიშვნელო წინსვლა. არსებობდა შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი წინსვლა გვქონოდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს შანსი გავუშვით ხელიდან.

ამ კანონის მიღებას ჰქონდა უფრო მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა ვიდრე სამართლებრივი. პოლიტიკური მნიშვნელობა იყო ის, რომ ეკლესიის მხრიდან შანტაჟის და ზეწოლის მიუხედავად სახელმწიფომ დეკლარაციულ დონეზე მაინც გამოხატა თავისი ნება, რომ პატივს სცემს თანასწორობის უფლებას განურჩევლად იმისა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანი. და სახელმწიფომ გაუძლო ზეწოლას და წნეხს და კანონიდან არ ამოიღო ის ოთხი სიტყვა, რომლის ამოღებასაც დაჟინებით ითხოვდნენ - სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. კარგია, რომ პოლიტიკური ნება არსებობდა საქართველოს პარლამენტში. ის არ დაყვა ამ წნეხს და ეს სიტყვები დარჩა კანონში. თუმცა, ვიმეორებ, რომ ამას უფრო აქვს პოლიტიკური ვიდრე სამართლებრივი მნიშვნელობა, იმიტომ რომ როგორც ამ ორ, ისე დანარჩენ ჯგუფებს რაიმე მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმს, გარდა მტკიცების ტვირთისა, ახალს ვერაფერს სთავაზობს ეს კანონი.

თამარ გურჩიანი - თუ არ ვცდები, 2009 წელი იყო, როდესაც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა და კანონმა მამხილებლების უფლებები გაითვალისწინა. მამხილებლების უფლებები იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც საჯარო სამსახურში ხედავს გადაცდომას ან კანონდარღვევას, და თუკი ის არის დაქვემდებარებული და ხედავს, რომ ამას მისი უფროსი ან ისეთი პირები აკეთებენ, ვინც ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას, შეუძლია ეს

ანონიმურობის დაცვით გაასაჩივროს და მიიტანოს კომპეტენტურ ორგანოებამდე. ბევრ თქვენგანს ეს ალბათ პირველად ესმის. არ არსებობს საქმე, სადაც მამხილებელმა ვინმე ამხილა, ეს გარანტიები საქართველოში სამწუხაროდ არასოდეს გამოუყენებიათ. და ვხედავთ 2009 წლიდან დღემდე გაიზარდა თუ არა საქართველოში საჯარო სამსახურის კეთილსინდისიერების ხარისხი, შემცირდა თუ არა კორუფცია არა მხოლოდ ქრთამის მიცემისა და აღების თვალსაზრისით.

რატომ მიიღეს მამხილებელთა უფლებების ნორმები? იმიტომ რომ საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა აღებული, ეს იყო „ოესიდისა“ და GRECO-ს, ევროპის საბჭოში არსებული ორგანოს რეკომენდაციები. საქართველო ხშირად იღებს ვალდებულებებს, იმიტომ რომ საერთაშორისო არენაზე შეინარჩუნოს ან ჰქონდეს გარკვეული რეპუტაცია. მაგრამ ამ ნორმებს იღებს სრულიად გაუაზრებლად. კანონმდებელმა დასაწყისშივე კარგად იცის, რომ ეს საკანონმდებლო ნორმები მკვდრადშობილი და ქაღალდზე დასარჩენად არის განწირული.

ყველამ კარგად ვიცით, რა ხდება საჯარო სექტორში. სამწუხაროდ ისევ გვაქვს ნეპოტიზმი, ისევ სერიოზული პრობლემაა საჯარო ხარჯების არაეფექტიანი ხარჯვა, ისევ გვაქვს მკაცრი ცენტრალიზაცია და მამხილებელთა უფლებების შესახებ არსებულ ნორმებს არაფერი შეუცვლია საჯარო სექტორში. ადამიანები, რომლებიც ხედავენ იმას, რომ მათი უფროსი არასწორად იქცევა, არასოდეს ამხელენ მას, ურჩევნიათ წამოვიდნენ სამსახურიდან, ვიდრე ეს გააკეთონ. მკვდრადშობილი ნორმები, გაგიკვირდებათ და არაფერს ცვლის. მაგრამ მათი მიღება სამწუხაროდ არის პარლამენტის ჩვეულებრივი ტრადიცია საქართველოში. მე მგონია, რომ თანასწორობასთან დაკავშირებით მკვდრადშობილი ნორმის მიღება ისეთივე ცინიზმია, როგორც იმაზე თვალის დახუჭვა, რომ ბევრი სოციალური ჯგუფის დისკრიმინაცია ხდება საქართველოში. ეს არის ძალიან სამწუხარო რეალობა. მთელი ამ ბატალიების ერთი ხელის მოსმით უარყოფა და პოზიტიურის დაუნახაობაც ალბათ შეცდომა იქნებოდა. მე მინდა, რომ დისკუსიის ნაწილში არ ვისაუბროთ კანონის მიღებასთან დაკავშირებულ ბატალიებზე.

რა თქმა უნდა კონტექსტი ასეთი გვაქვს, ეკლესია კატეგორიულად ეწინააღმდეგება თანასწორობის აღიარებას, მეორე მხრივ კი მთავრობა არის იმდენად სუსტი, რომ ეკლესიას ბოლომდე ვერ შეეწინააღმდეგოს. ასევე გვაქვს კონტექსტი, რომ ადამიანები იჩაგრებიან, არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ბევრი სოციალური ჯგუფი არის უჩინარი და ამ ბატალიებმა ის გავლენა მოახდინა ამ ჯგუფებზე, რომ ისინი კიდევ უფრო უჩინარნი ხდებიან და გვაქვს ასეთი ვითარება, რომ რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო სუსტდება ადამიანის უფლებების ენა და მით უფრო დომინანტური ხდება კონსერვატიული და რელიგიური ნაციონალიზმით გაჟღენთილი ენა. და ამ ენას პირველ ყოვლისა იყენებენ მთავრობის წევრები და ამიტომაც გვაწუხებს ეს. მარტო ეკლესიის წარმომადგენლებს რომ ესაუბრათ ამ ენაზე, ეს ჩვენთვის ალბათ არ იქნებოდა პრობლემა. მომხსენებლებს ვთხოვ ზოგადი კონტექსტი შეაფასონ და ამოვიდეთ იმ ადამიანების ინტერესებიდან, რომელთათვისაც იქმნებოდა ეს კანონი - რა შეიცვალა მათთვის. რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ ადამიანებმა სრულფასოვან ადამიანებად იგრძნონ თავი და არა მეორეხარისხოვან არსებებად. რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თანასწორობა რეალურად იყოს უზრუნველყოფილი და ეს წაახალისოს მთავრობამ, რომელიც საკმარისად მგრძნობიარე ამ

საკითხების მიმართ არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტიტუციური ცვლილებების იდეებით არ გამოვიდოდა.

შეგიძლიათ დასვათ კითხვები.

მიხეილ მირზიაშვილი - მინდა მხარდაჭერა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ეს კანონი გაიტანა. მადლობა მინდა ვუთხრა პარლამენტს თამარის სახით. ჩემი კითხვა ეხება იმას, თუ როგორ მოხდება ამ კანონის იმპლემენტაცია სახელმწიფო უწყებებში. არის ორი ნაწილი - ერთი ეხება დისკრიმინაციას ერთი მოქალაქის მხრიდან მეორის მიმართ, ასევე არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციას. სწორედ ამ ნაწილს ეხება ჩემი კითხვა. როგორ გაიწერება ეს კანონი სხვადასხვა სამინისტროების სტრატეგიასა და ქცევის კოდექსში?

ჩვენს სახელმწიფოში არ მომხდარა სამოხელეო რეფორმა, როგორც მოხდა ეს მაგალითად მოლდოვაში და რითაც მოლდოვა ჩვენზე წინ არის, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყანა. თუმცა არის ცალკეული კუნძულები, მაგალითად იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ ერთიანი სამოხელეო სტანდარტი არ არსებობს. არადა თუ ეს არ იარსებებს, ძნელად წარმომიდგენია ამ კანონის იმპლემენტაცია. მე მაგალითად ასე ვხედავ, სწორი იყო ეკლესიის რეაქცია, რომელსაც ასეთი მაღალი ნდობა აქვს და რომელიც ალბათ ხვდება, რომ ამ კანონის რეალური იმპლემენტაციით რაღაცები დაიკარგება, მაგალითად უნდა გაქრეს ნაკურთხი სახელმწიფო ოფისები, ხატების კუთხეები ოფისებში, ან უნდა გაქრეს ის, რომ სახელმწიფო მოხელეები ეკლესიაში ასე ღიად ჩანან, ეს კარგად ჩანს, როცა სამხედროები ჩამწკრივდებიან ხოლმე ეკლესიაში. იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველაფერი უნდა გაიწეროს. თქვენ როგორ ხედავთ ამის პერსპექტივას?

ვანო ჩხიკვაძე, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" - რა თქმა უნდა მეც მადლობას ვეტყვი ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით ედგა ამ კანონს დასაწყისიდან ბოლომდე. რადგან დღევანდელ საუბარს ლაიტმოტივად გასდევს გულწრფელობის საკითხი, გულწრფელად მაინტერესებს თქვენი აზრი, რომ არ ყოფილიყო ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, მიიღებდა თუ არა ამ კანონს საქართველოს მთავრობა? ანუ აუტკივარ თავს აიტკიებდა თუ არა?

გოჩა ლორთქიფანიძე - ჩემთვის და ჩვენი გუნდისათვის, იუსტიციაში, ისევე როგორც მთლიანად მთავრობაში, ამას სრული გულწრფელობით ვამბობ, ევროკავშირის ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა იყო მხოლოდ კატალიზატორი. მართალია, ეს იყო ვალდებულება, მაგრამ იყო მხოლოდ კატალიზატორი. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ეს კანონპროექტი სჭირდებოდა ჩვენს საზოგადოებას.

ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე ერთი საკითხი, რაზეც კვლავ მივაპყრობდი თქვენს ყურადღებას. მით უმეტეს, როგორც აღნიშნეთ, რომ ადამიანის უფლებების დისკურსი სუსტდება. ის შესუსტდება, თუ ჩვენ ამის საშუალება მივეცით. ობიექტურად უნდა შევხედოთ იმას, რომ მთავრობამ მოამზადა და პარლამენტმა მიიღო ადამიანის უფლებების სტრატეგია. პირველად ჩვენს ქვეყანაში ყველანი შევთანხმდით, რომ ადამიანის უფლებები არის განგრძობადი პრიორიტეტი, რომელიც რჩება პოლიტიკური ციკლის მიღმა. სტრატეგიას აქვს ჩვეულებრივი, მაგრამ მნიშვნელოვანი მიზანი, საქართველოში

ჩამოყალიბდეს ისეთი გარემო, რომელშიც ადამიანის უფლებების დაცვა ეფექტიანად იქნება შესაძლებელი. მეორე, რამაც რატომღაც სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული თვალის მიღმა ჩაიარა, არის სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე შორსმიმავალი ვალდებულება - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. ეს ხდება მთავრობის, მთლიანად პოლიტიკის ფორმირების და შეფასების განმსაზღვრელი. ეს არ არის იოლი ჩანაწერი. მას მოჰყვება ძალიან დიდი ეტაპობრივი ცვლილებები.

რაც შეეხება თავად სტრატეგიას და იმ კონკრეტულ საკითხს, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, სტრატეგიაში არანაკლებ „რევოლუციური" იდეებია ჩადებული და ეს რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩა. კერძოდ, სტრატეგიის ამოცანაა უზრუნველყოს თანასწორობასა და უმცირესობების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც საჯარო ისე კერძო სფეროში, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება დისკრიმინაციის შედეგების აღმოსაფხვრელად, დისკრიმინაციის მსხვერპლისათვის დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველყოფა, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების ქართული ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა, თანასწორობის და შემწყნარებლობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის ხელშეწყობა.

ჩემი თვალსაზრისით ეს არის არა მარტო ადამიანის უფლებების სტრატეგია, არამედ საზოგადოებრივი კომპაქტი, რაზეც ყველანი ვთანხმდებით. მისი განხორციელების გარანტია ვართ თითოეული ჩვენგანი და პირველ რიგში მთავრობა. ზუსტად ეს პრიორიტეტები, რაც არის გაწერილი სტრატეგიაში, გაიშლება კონკრეტულ ქმედებებად სამოქმედო გეგმაში. ეს არის მაღალი ლეგიტიმურობის დოკუმენტი, იმიტომ რომ პარლამენტმა მიიღო სტრატეგია და მთავრობა მიიღებს სამოქმედო გეგმას.

თამარ გურჩიანი - მიუხედავად იმისა, რომ კარგი კანონმდებლობა გვაქვს მაგალითად ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონიც გვაქვს, ქალებს ყველანაირი გარანტია აქვთ, იქნება ეს შრომითი, განათლების მიღების და ა.შ. გეთანხმებით, რომ სტრატეგიის მიღება წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ქალღალდზე არსებული რეალობა და რეალობა, რომელსაც ქალები ეჯახებიან დღეს, ერთმანეთისგან განსხვავდება.

ჩემთვის, როგორც ქალისა და როგორც მოქალაქისთვის და როგორც ადამიანის უფლებათა პროფესიონალისთვის, მთავრობის პოზიციის გამოხატულება ის კი არ არის, სტრატეგიაში რა წერია ან როგორი კანონმდებლობა გვაქვს, არამედ ის, რომ ქალების მკვლელობის შესახებ ხმას არ იღებს, ან პატრულ-ინსპექტორი, რომელიც ოჯახში ძალადობის თემაზეა გამოძახებული და მოძალადე ქმარს ეუბნება, რომ ეს არის ოჯახის და არა სახელმწიფოს საქმე და მას შეუძლია, რაც უნდა ის გააკეთოს. მთავრობის პოზიციების და სტრატეგიების გამოხატულება არის ის რიგითი პატრულ-ინსპექტორი, რომელიც ოჯახში ძალადობას ოჯახის საქმედ მიიჩნევს და არა სახელმწიფოს საქმედ და არა მთავრობის მიერ შემუშავებული ბრწყინვალე სტრატეგიები, რომლებიც ქაღალდზე არსებობს.

ჩემი კითხვა სწორედ ეს არის, ჩვენ ვხედავთ ამ რეალობას, რომ სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით მთავრობის პოზიცია არ ყოფილა ცალსახად მკვეთრი და არ ყოფილა თანასწორობის მხარის და ახლაც, როდესაც ქალების ბრუტალური მკვლელობების შესახებ თავზარდამცემი ინფორმაცია ვრცელდება, მთავრობის არცერთი წარმომადგენელი არ გამოსულა და სიტყვიერადაც კი არ დაუგმია და არ მოუწოდებია სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რომ ნულოვანი ტოლერანტობა გამოიჩინონ ძალადობის მიმართ. საქმეც ის არის, რომ რეალობა და ქაღალდზე დაწერილი სტრატეგია განსხვავდება ერთმანეთისგან.

გოჩა ლორთქიფანიძე - სულისკვეთებაში აბსოლუტურად გეთანხმებით. ერთადერთი, რაზეც ცოტა განსხვავებულად ვიტყოდი, ჩემი გზავნილი ის კი არ ყოფილა, რომ მთავრობამ ჩაიწეროს, რომ გვაქვს ბრწყინვალედ დაწერილი სტრატეგია, მე სხვა რამეს ვგულისხმობ. როდესაც რეალობას აფასებ, უნდა შექმნა ადეკვატური ინსტრუმენტი, რომელიც იქნება ჩარჩო რეალობის შესაცვლელად. ჩვენი ყველა მცდელობა ამ რეფორმების თვალსაზრისით, ორი ასპექტის საპასუხოდ არის გამიზნული. ეს არის ინსტიტუტების ცვლილება და ცვლილება ინსტიტუციონალურ კულტურაში. რაც თქვენ თქვით, ეს ჩვენს საზოგადოებაში პრობლემურობის ორივე ასპექტს ეხმიანება. ჩემი მხრიდან ეს იყო ფაქტის კონსტატაცია, რომ რადგან გვაქვს ეს დოკუმენტი, რომელიც საკმაოდ შორს მიდის, ის არ უნდა დარჩეს მორიგ ერთ ბრწყინვალედ დაწერილ სტრატეგიად. მოდით გამოვიყენოთ ეს ინსტრუმენტი არსებული რეალობის შესაცვლელად.

თამარ კორძაია - როდესაც ვსაუბრობთ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონზე და მისი აღსრულების მექანიზმებზე, [უნდა ითქვას, რომ] ჩვენ უკვე გვაქვს კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც არ მუშაობს. ამიტომ მხოლოდ მექანიზმების არსებობა არ არის საკმარისი, იმიტომ რომ დღემდე ჩვენს ცნობიერებაში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ოჯახში ძალადობა ოჯახის საკითხია და ამიტომაც მივედით იმ შედეგებამდე, სადამდეც მივედით. მაგალითად დღეს საქართველოში ისევ დგას საკითხი, გოგო არის თუ არა მემკვიდრე ოჯახში და მას ეკუთვნის თუ არა წილი. შეიძლება ეს თბილისში არ განიხილება, მაგრამ [სხვაგან] განიხილება და ეს იწყება იქიდან, რომ გოგოს არსად წასასვლელი არ აქვს და არც არავისი იმედი აქვს დედამიწის ზურგზე. ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავთ, მაგრამ ხმას არ ვიღებთ. არც ჩვენს ნათესავებს ვუხსნით იმას, რომ გოგო ისეთივე მემკვიდრეა როგორც ბიჭი და ისეთივე ყურადღება სჭირდება ოჯახისგან, როგორც ვაჟს.

როდესაც გენდერულ თანასწორობაზე ვსაუბრობთ, მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოში არ არსებობს თანხმობა იმაზე, მაგალითად პოლიტიკურ პარტიებში იყოს თუ არა ქალების კვოტირება. მაგრამ როდესაც გადავხედე „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების სიას, დავრწმუნდი, რომ უნდა იყოს. არც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს ქალი კანდიდატი. არის შემთხვევები, სადაც ხისტი ჩარევა ჯობია, და არის შემთხვევები, სადაც ეს ეტაპობრივად უნდა გაკეთდეს, მაგრამ ეს ჩემი აზრით ის შემთხვევაა, სადაც სწორედ ხისტი ჩარევაა საჭირო. იმიტომ რომ ჩემი მწირი პოლიტიკური გამოცდილების კვალობაზე, ერთი წლის და 15 დღის პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, არის საკითხები, რომელსაც კაცები ვერასდროს

გადაწყვეტენ და ქალს შეუძლია მათი მარტივად გადაჭრა. ამის მიზეზები ჩვენს კულტურაში ძალიან მარტივად შეგვიძლია მოვიძიოთ.

ერთ მაგალითს მოვიშველიებ, სასამართლო პროცესები იყო, სადაც მე ვიყავი ადვოკატი. საარჩევნო დავები იყო და მე წარმოვადგენდი დამკვირვებლებს. სამი დავა მქონდა. ორი მოვიგეთ, სადაც დამკვირვებლები ქალები იყვნენ. შეიძლება განზოგადება არასწორია, კონკრეტული შემთხვევები განვიხილოთ. ერთი იყო მამაკაცი. ქალები მოვიდნენ პროცესზე, ილაპარაკეს და მოვიგეთ. კაცი მოვიდა პროცესზე და ხმა არ ამოუღია, იმიტომ რომ მცხეთაში, თავისივე უბანში, სადაც არჩევნებს აკვირდებოდა, კაცებმა „კაცურად“ გაიყვანეს, დაამუშავეს და პროცესზე ხმა არ ამოიღო. ეს ვერ გაუკეთეს ქალს. ყველა საერთაშორისო კონვენცია ამას ამბობს, რომ გადაწყვეტილება უნდა მიიღო შენი ადგილობრივი რეალობიდან გამომდინარე. არის საკითხები, რაზეც კაცები ქალებს იმ ტონით არ ელაპარაკებიან, იმ ფორმით ვერ ელაპარაკებიან, რაც შესაძლოა „კაცურ“ ლაპარაკში ჩვენს კულტურაში იყოს მიღებული და ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია. თუ ამით არ დავიწყებთ, არ დამთავრდება ოჯახში ცოლების მოკვლა. გადახედეთ გაზეთებს, ყველა ამართლებს მკვლელ ქმარს, რომელმაც მოკლა ცოლი და მერე თვითონაც მოიკლა თავი, იმიტომ რომ თურმე ქალი მსუბუქი ყოფაქცევის იყო. „ბათუმელების“ ბოლო ნომერი რომ გადაშალოთ, პირველი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სტატია დისკრიმინაციის თემას ეხება.

სტრატეგიები ამ მოვლენას ნამდვილად ვერ გადაჭრის, ამის ილუზია არ გვაქვს, მაგრამ ალბათ საიდანღაც უნდა დავიწყოთ. მედიას ძალიან ბევრ ტრენინგს უტარებენ, მაგრამ ერთხელ ასეთი შეკითხვა დამისვეს, თუ ასე კარგად სწავლობენ, რატომ არის მედია ასეთი არაეთიკური. გამეცინა, იმიტომ რომ თუ კარგად სწავლობს ჟურნალისტი, მან იცის, როგორ შეიძლება მთელი ცხოვრება არაეთიკური იყოს ისე, რომ სასამართლოში ვერ უჩივლონ და პროცესი არ წააგოს. საკითხი ასე დგას - არ უნდა გვინდოდეს ვიყოთ არაეთიკურები. ამიტომ რეცეპტი არ მაქვს, ყველა მიმართულებით უნდა გავშალოთ ფრონტი.

რაც შეეხება კითხვას კანონის მიღებასა და ვიზის ლიბერალიზაციას შორის კავშირზე, ვფიქრობ, რომ ეს იყო დამთხვევა. შედეგი ჩვენი ქვეყნისთვის არის სასურველი. შესაძლოა ბევრი პარლამენტარისთვის გადამწყვეტი იყო სწორედ „ასოცირების ხელშეკრულების“ თემა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბევრი იყო ისეთიც, რომელსაც ეს [ამის გამო არ გაუკეთებია]. პირადად მე, როდესაც მეუბნებიან, რომ ეს „ასოცირების ხელშეკრულების“ გამო გავაკეთე, შეურაცხყოფილი ვარ, იმიტომ რომ ეს ის ღირებულებებია, რომელიც ჩემთვის და იმ წრისთვის, ვისთან ერთადაც მთელი ამდენი წელი ვცხოვრობ, ცხოვრების წესია. ამიტომ კომენტარის გაკეთების დროს ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს არის ღირებულებები, რომელზეც ქართული კულტურა დგას და ამის არაერთი მაგალითი არსებობს ჩვენი ისტორიის განმავლობაში. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენდა საარგებლოდ, ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს.

გიორგი გოცირიძე - მინდა გამოვეხმაურო მიხეილის ნათქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ხატები და რელიგიური სიმბოლოები არ უნდა იყოს სახელმწიფო დაწესებულებებში. ეს შეზღუდვა მარტო ანტიდისკრიმინაციული კანონიდან არ გამომდინარეობს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში პირდაპირ არის მითითებული,

რომ საჯარო სამსახური არის საერო და არა რელიგიური ხასიათის დაწესებულება და შესაბამისად იქ ასეთი ხასიათის სიმბოლიკა არ შეიძლება იყოს განთავსებული. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონშიც პირდაპირ წერია, რომ არ შეიძლება რელიგიური სიმბოლიკის არააკადემიური დანიშნულებით გამოყენება. სხვა საკითხია, რომ ეს არ სრულდება და უხეშად ირღვევა კანონის მოთხოვნები.

საჯარო მოხელეების თემას მინდა დავუბრუნდე. ჯარიმის წინააღმდეგ მთავრობის ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ საჯარო მოხელეებს დისკრიმინაციის შინაარსთან დაკავშირებით ცნობიერება არ აქვთ ამაღლებული და შეიძლება დაარღვიონ კანონში ჩაწერილი მოთხოვნები, ამიტომ არ შეიძლება მათ ჯარიმა დავაკისროთ. ჩვენი არგუმენტი იყო, ჩაეტარებინათ მათთვის ტრენინგები, აემაღლებინათ მათი ცნობიერება და მორატორიუმი ჩაეტარებინათ ჯარიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით. ანუ, მოგვიანებით, ვთქვათ, 2016 წელს, საჯარო მოხელეების გადამზადების შემდეგ აემოქმედებინათ კანონი, თუმცა არც ეს გაითვალისწინეს. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მთავრობა არ აპირებს ფინანსური ვალდებულებების და ხარჯების გაღებას, არც სტრატეგიის შემუშავებას და ცნობიერების ამაღლებას ამ კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, რაც ჩემთვის გულდასაწყვეტია, ამ კანონის მიღებას არ მოჰყვა სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსების გაზრდა. სახალხო დამცველმა შეიძინა ახალი ფუნქცია, მას აქვს კერძო დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების ფუნქცია, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ამ დაწესებულების დაფინანსების გაზრდა. თუმცა ეს აუცილებელია ახალი თანამშრომლების მოსაზიდად და უკვე არსებული თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად.

თათული თოდუა, იურისტი - არ ვაპირებდი კომენტარის გაკეთებას, მაგრამ მას შემდეგ რაც ბატონმა გოჩამ ისაუბრა ადამიანის უფლებათა სტრატეგიაზე, იმაზე, თუ რას უნდა ველოდეთ მთავრობისგან და როგორ იცვლება სახელმწიფო პოლიტიკა, მომეჩვენა რომ ეს განცხადებები გადაჭარბებულად ოპტიმისტური იყო. მახსოვს არა მარტო 7 ნოემბერი, არამედ 17 მაისიც და ვხედავ, რომ დამნაშავეების მიმართ დღემდე არ დამდგარა ადეკვატური სასჯელი. როდესაც ვლაპარაკობთ დისკრიმინაციაზე, სახელმწიფო ხომ არ არის ზუსტად ის სუბიექტი, რომელიც არის სათავე დისკრიმინაციისა და როგორი იქნებოდა საგამოძიებო ორგანოების პასუხი იმ ყვითელ სამარშრუტო ტაქსიში რომ სასულიერო პირები მსხდარიყვნენ და ლგბტ პირებს მათთვის ქვები დაეშინათ. ალბათ ერთი კვირის ვადაში ყველანი ციხეში აღმოჩნდებოდნენ. როდესაც ასეთ მაგალითებს ვხედავ, სამწუხაროდ ნაკლებად მაქვს რწმენა ამ ინსტიტუტების მიმართ და პოლიტიკურ ნებასაც ნაკლებად ვხედავ. ამ ფაქტებზე დაყრდნობით თქვენ როგორ შეაფასებთ სახელმწიფოს პოლიტიკას ამ მიმართულებით და რამდენად რეალისტურია თქვენი ოპტიმიზმი.

ია უჯმაჯურიძე - კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს იმ სფეროებს, რა ნიშნით დისკრიმინაციასაც ეწინააღმდეგება კანონი და აქ არ არის სახელდებით მითითებული ნიშანი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით „წარსული ცხოვრება“. ვგულისხმობ სამსახურში წარსულში ჩადენილ გადაცდომას. ფიქრობთ თუ არა, რომ ეს საკითხიც უნდა იყოს ამ კანონის რეგულირების სფერო, თუ „და სხვაში“ ესეც იგულისხმება?

კობა კიკაბიძე - იუსიტიციის სამინისტროს წარმომადგენლთან მაქვს კითხვა. გარდა იმ სტრატეგიისა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვას, არის დიდი პლასტი, რომელიც ეხება იუსტიციის სამინისტროს - კორუფცია და ანტიკორუფციული ღონისძიებები. ამ მიმართულებით მთელი დეპარტამენტი მუშაობს, მაგრამ მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო კანონი „პატრონ-კლიენტელიზმის შესახებ“, რომელზეც წარმოდგენა არა აქვთ ჩვენს რეალობაში. ეს თემა დაკავშირებულია იმ თემასთან, რომელზეც დღს ვსაუბრობთ. ასევე შეიძლება გავიხსენოთ კანონი „სექსუალური ქარიზმის“ შესახებ, რომელიც გენდერულ სფეროს ეხება და გულისხმობს ჩაგვრას სექსუალური ნიშნის მიხედვით. ამ მიმართულებით თუ არის გათვლილი ნაბიჯები.

გაგა ჩხეიძე - მე იურისტი არ გახლავართ. აქ მოვედი, როგორც მოქალაქე, ამ კანონის მომხმარებელი და როგორც დისკრიმინაციის მსხვერპლი 30 წლის წინ. ამიტომ მაინტერესებს, რა შეიცვალა ამ ქვეყანაში და მივდივართ თუ არა უკეთესობისკენ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. საქართველოში ხშირად საუბრობენ ჩვენი საზოგადოების დეჰუმანიზაციაზე. ჩვენს საზოგადოებას და ქვეყანას აქვს ძალადობის ძალიან დიდი ტრადიცია. გავიხსენოთ 20-30-იანი წლები, რეპრესიები, ერთპარტიული სისტემა. ძალადობა ნებისმიერი ფორმით ვლინდებოდა. ერთ-ერთი ფორმა არის ადამიანის დისკრიმინაცია, ჩაგვრა. მაინტერესებს რა ტიპის დანაშაულია ეს, როგორც ვხვდები, არ არის სისხლის სამართლის დანაშაული.

სამწუხაროდ აქ არ იმყოფება შს სამინისტროს წარმომადგენელი. მაინტერესებს, იგეგმება თუ არა მომავალში ისეთი დეპარტამენტის ან განყოფილების შექმნა, ან ტრენინგების ჩატარება პოლიციელებისთვის, რომლებიც კონკრეტული ჯგუფებით დაკავდებიან. მაგალითად გერმანიაში არის უცხოელების დეპარტამენტი, რომელიც უცხოელების პრობლემებს აგვარებს. ყოველ განყოფილებაში არის სექსუალურ უმცირესობებთან მომუშავე ერთი ან ორი პოლიციელი. ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზაციისთვის საჭიროა ალბათ კონკრეტული მექანიზმების შემუშავება.

თამარ გურჩიანი - ალბათ კარგი იქნება თუ მომხსენებლები სიძულვილის დანაშაულთან დაკავშირებითაც ისაუბრებთ. „სისხლის სამართლის კოდექსში“ სიძულვილის დანაშაული ცალკე არ გვაქვს, მაგრამ თუკი დანაშაული რომელიმე ნიშნის მიხედვით ჩაიდინეს, თუკი დანაშაულის მსხვერპლი მიეკუთვნებოდა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს, ეს ითვლება დამამძიმებელ გარემობად და სარჩელის შეფარდების დროს მოსამართლეს სასჯელის დამძიმების უფლება აქვს. მაგრამ სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი კარგი კანონმდებლობა ჩვენ არ გვაქვს. თუ იგეგმება სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება ან ცალკე კანონის მიღება? პარლამენტის პოზიციაც ძალიან საინტერესოა ამ თემასთან დაკავშირებით და მთავრობისაც.

ოთო კობახიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი - ჩემი კომენტარი განათლების საკითხებს შეეხება. ანტიდისკრიმინაციული კანონი ალბათ ადრეც უნდა მიგვეღო, მაგრამ საზოგადოებას ალბათ ყოველთვის თავსმოხვეულად მოეჩვენება

კანონი, რომლის საჭიროებაც არ ესმის. ვეჭვობ, რომ იმ 115 პარლამენტარიდანაც, რომელმაც ამ კანონს მხარი დაუჭირა, ბევრს არ ესმოდა, რატომ მიიღო ეს კანონი, გარდა იმისა, რომ ეს იყო ვიზა-ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ნაბიჯი.

ოთხი წელია სტუდენტი ვარ, წელს ვამთავრებ და მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მიგრძვნია პროგრესი განათლების სფეროში. ვერ ვხედავ, რომ სახელმწიფო ატარებდეს ღონისძიებებს იმისათვის, რათა ადამიანების განათლების დონე ამაღლდეს ქვეყანაში. ისევ ხდება ადამიანების დისკრიმაცია. ბოლო 6 თვე სლოვაკეთში ვცხოვრობდი, სადაც შავკანიან კენიელებს არ უშვებდნენ ხოლმე ღამის კლუბებში იმიტომ რომ შავკანიანები იყვნენ. ეს ყველგან ხდება, უბრალოდ ნორმალურ, დემოკრატიულად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც განათლების ფასი იციან, ამას განათლებით ებრძვიან.

ორი წელი წინა მთავრობის პირობებში მომიწია სწავლა, ორიც - ამ მთავრობის და არცერთ ვითარებაში არ მიგრძვნია პროგრესი განათლებაში. მიზერულია მეცნიერების დაფინანსება, კვლევები თითქმის არ ტარდება, სახელმწიფო კი ქმედით ნაბიჯებს არ დგამს. მაგალითად გავრცელებული ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ყაზბეგის ერთ-ერთ სკოლაში, როგორც თვითონ ამბობენ, რუსული საიტებიდან გადმოწერილი ინფორმაციით ბავშვებს დარვინიზმის თეორიას ასწავლიან.

ის, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით ნაბიჯებს არ დგამს, კატასტროფამდე მიგვიყვანს. იმიტომ რომ საზოგადოება ვერასოდეს გაითავისებს ამ კანონებს. თქვენ ქმედითუუნარო კანონები დაასახელეთ. ამის მიზეზი ის არის, რომ სწორედ საზოგადოება არ თვლის საჭიროდ მათ ამოქმედებას. თუ განათლების კომპონენტი არ ჩავრთეთ, პრობლემის საფუძველს ვერასოდეს გავიგებთ. საქართველოს მომავალი თითოოროლა განათლებული, ჰუმანისტი ლექტორის იმედზეა. სახელმწიფო ამ მიმართულებით ბევრს არაფერს აკეთებს.

თამარ გურჩიანი - რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა - განათლების სფერო, დაუსჯელობის სინდრომი, შარშანდელი 17 მაისის თემა და „სიძულვილის დანაშაულის“ წინააღმდეგ ბრძოლა.

გიორგი გოცირიძე - თამუნამ უკვე ისაუბრა, რომ ნებისმიერი დანაშაული, თუკი იგი მოტივირებულია მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციით, გენდერული იდენტობით, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებით, ითვლება დამამძიმებელ გარემოებად. ამ შემთხვევაში სასამართლოს ევალება ბრალდებულს დაუმძიმოს სასჯელი, მაგრამ პრაქტიკაში ეს როგორ მუშაობს, ჩემთვის ამის თქმა ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ეს არ აღირიცხება არც პროკურატურის, არც სასამართლოს მხრიდან. გარდა ამისა არის უფრო სპეციფიკური ხასიათის ნორმები, მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით აკრძალულია ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა, არის ასევე რასობრივი დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა. თუმცა ჩემი ინფორმაციით, ეს ნორმები ძირითადად იეჰოვას მოწმეთა მიმართ გამოიყენება, როდესაც თავიანთი ლიტერატურის გავრცელებისას ძალადობრივ პასუხს აწყდებიან.

არაძალადობრივი ხასიათის ქმედების შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი არ გამოიყენება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მსგავსი ტიპის დისკრიმინაციული ქმედება არ არის აკრძალული. იქ, სადაც სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობა არ დგება, მაგრამ ქმედება არის დისკრიმინაციული, ის შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. ჩვენ ვითხოვდით რაიმე სანქცია მაინც ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგრამ არ არის.

თამარ კორძაია - გეთანხმებით, რომ განათლების სფეროშია ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმები გასატარებელი. საუბარი მეც განათლების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით დავიწყე. ამ კანონის იმპლემენტაციის ნაწილში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ალბათ განათლების სამინისტროს აკისრია.

ამ კანონის არსი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ გაგვევლო ზღვარი სად არის დანაშაული და სად - არა და გვეთქვა, იქ, სადაც არ არის დანაშაული, რას ვაკეთებთ. ჯარიმის ამოღებამ გვაჩვენა, რომ არ ვიცით რას ვაკეთებთ. ეს არის ამ კანონის პრობლემა. მივდივართ სახალხო დამცველთან და მისი რეკომენდაცია, სახალხო დამცველის მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არის ის შედეგი, რასაც ამ კანონით მივიღებთ. ასევე შეგვიძლია მოვითხოვოთ მატერიალური და მორალური ზიანი. ეს კანონი ადგენს არადანაშაულებრივი ხასიათის დარღვევას.

საკითხი, რომელზეც არ მაქვს ცალსახა პასუხი, მაგრამ მაინც გამოხატვის თავისუფლების მხარეს ვიხრები, არის მედიაში არსებული სიძულვილის ენა, რომელმაც თითქმის წალეკა პრესა. მაგრამ ეს ალბათ მაინც მორალური კატეგორიაა, იმიტომ რომ კარგად ვიცით, რომ გამოხატვის თავისუფლების სტანდარტით აზრი და შეფასებითი მსჯელობა აბსოლუტურად დაცულია ჩვენს კანონმდებლობაში, ხოლო ფაქტი არ არის დაცული და მათ ნამდვილობაზე შეგვიძლია დავა. მაგრამ სიძულვილის ენის შემთხვევაში ფაქტებთან არ გვაქვს საქმე. ამიტომ ძალიან მიჭირს ზღვრის გავლება, სად შეიძლება მოხდეს სიძულვილის ენის კრიმინალიზაცია და სად - არა. მაინც ვემხრობი, რომ სიძულვილის ენის კრიმინალიზაცია არ მოხდეს და მოწოდების ნაწილში იყოს კვალიფიციური პრივილეგიით დაცული და აზრი იყოს თავისუფალი. ეს არის ჩემი დღევანდელი პოზიცია და ვერ ვიტყვი, რომ აზრს არ შევიცვლი, თუკი სერიოზულ არგუმენტებს მოვისმენ ამ თემასთან დაკავშირებით. თუ სიძულვილის ენა მიიღებს ძალადობისკენ მოწოდების ფორმას, მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი შეზღუდვა.

კითხვა დაისვა 17 მაისის აქციასთან დაკავშირებითაც. 18 მაისის აქცია იყო ყველაზე გამომსახველობითი. მთელი ჩემი ცნობიერი ცხოვრების განმავლობაში სამმა აქციამ მოახდინა ჩემზე დიდი გავლენა და ბოლო იყო ყველაზე შთამბეჭდავი. პირველი იყო უკრაინელი გოგოების აქცია, მეორე იყო ეკლესიაში „ფუსი რაითის“ აქცია და მესამე იყო ეს, რომელიც ყველაზე მძიმე იყო დასანახად. იმიტომ რომ ძალიან კარგად დავინახეთ, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა დანახვა არც ხელისუფლებას უნდა, არც საზოგადოებას, არც მეზობელს და ა.შ. ამ ფონზე ასლარიანი ჯარიმა არ არის ადეკვატური. და ვერ მივიჩნევ, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ღონისძიება იყო. საერთოდ, ღონისძიება ვერასოდეს იქნება ადეკვატური, ვიდრე არ ვისაუბრებთ ფქისოლოგიურ ძალადობაზე და იმ განცდებზე, რაც 17 მაისს ადამიანებმა გადაიტანეს, და მხოლოდ ფიზიკურ ძალადობაზე პასუხიმგებლობაზე ვილაპარაკებთ.

გოჩა ლორთქიფანიძე - დისკუსია ევროკავშირში ჩვენი პერსპექტივის თემით მინდა დავასრულო. ამისკენ ვანოს კითხვამ მიბიძგა, ხომ არ ვაკეთებთ რაღაცას ვალდებულების

გამო. მე მწამს, რომ „ასოცირების შეთანხმების“ ეფექტი ამ ქვეყანაზე არ არის ის, რომ მაინცდამაინც წევრი გავხდეთ. ამ შეთანხმების ყველაზე დიდი შედეგი ჩვენი ქვეყნისთვის ის არის, რომ „ასოცირების შეთანხმება“ არის ტრანსფორმაციის და რეფორმების ჩარჩო. და იმპლემენტაციის შედეგად, თუ ყველაფერს შევასრულებთ, ეს ქვეყანა გახდება ნორმალური ევროპული სახელმწიფო, სადაც იქნება სამართლის უზენაესობა და დაცული იქნება ადამიანის უფლებები. მე ამ თვალსაზრისით ვუყურებ ამ პროცესებს. ეს არ არის ზედმეტი ოპტიმიზმი. ერთადერთი ოპტიმიზმი, რომელიც 90-იანი წლებიდან მომყვება, არის ის, რომ ამ ქვეყანაში ცვლილებები არ უნდა შეჩერდეს. ბევრს ვერაფერს დავამატებ ქალბატონი თამარის ნათქვამს. უნდა დადგეს ადეკვატური პასუხისმგებლობა. იმიტომ რომ 17 მაისი თითოეული ჩვენგანისთვის იყო განგაშის ზარი, ყველამ ვნახეთ, როგორია ჩვენი საზოგადოება. ამაზე პასუხი რა შეიძლება იყოს იუსტიციის სამინისტროდან? არა კერძო რეაგირება, არამედ ის რეფორმები და საკანონმდებლო ცვლილებები, რისი ინიციატივითაც ჩვენ შემოვდივართ. ეს ეხება სასამართლო ხელისუფლებას, პროკურატურას, სამართალდამცავ ორგანოებს. ოპტიმისტურად იმიტომ ვარ განწყობილი, რომ მართალია ეს პრობლემაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში პრიორიტეტად არის ჩამოყალიბებული, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებთან მიმართებით უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტიანი და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი. ანალოგიური რამ გვაქვს ასოცირების დღის წესრიგში. ეს არის ერთიანი დღის წესრიგი, რაც ერთმანეთთან აკავშირებს „ასოცირების შეთანხმების“ და ვიზა-ლიბერალიზიციის სამოქმედო გეგმის შესრულებას. ეს არის ის, რისკენაც უნდა ვიმოძრაოთ.

რაც შეეხება სიძულვილის ენას, როდესაც დასაწყისში განვიხილავდით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს, ბევრი ვიმსჯელეთ სიძულვილის ენის დისკრიმინაციასთან მიმართებაზე. მაგრამ მართლაც ძალიან დელიკატური ზღვარია და საბოლოოდ ვერ ჩამოვყალიბდით, თუმცა სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაძლიერდეს. მაგრამ ამ მომენტისთვის, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ეს, ქალბატონი თამარის მსგავსად, რეცეპტი არ მაქვს.

კორუფციის საკითხებზე სამინისტროში მუშაობს ანალიტიკური დეპარტამენტი. რამდენადაც შეუძლებელია და არც არანაირი პრეტენზია არ მაქვს, რომ ყველა ის საკითხი მოვიცვა, რაზეც იუსტიციის სამინისტრო მუშაობს, თუ გექნებათ სურვილი, სიამოვნებით დაგაკავშირებდით ანალიტიკურ დეპარტამენტთან, რომელიც მუშაობს ანტიკორუფციულ სტრატეგიაზე.

თამარ გურჩიანი - დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, წარსულში ჩადენილი გადაცდომის გამო მოხდება თუ არა ადამიანების დისკრიმინაცია და წავა თუ არა ეს „და სხვა“ კატეგორიაში. იქნებ უპასუხოთ ამ შეკითხვას, იმიტომ რომ „თავისუფლების ქარტიის“ ცვლილებებზე რომ მუშაობდით, იქ გარკვეული უფლებები ეზღუდებათ ადამიანებს.

ია უჯმაჯურიძე - აღმასრულებლად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო. ეს მაშინ, როცა ნასამართლევ პირებს არ ეკრძალებათ ამ თანამდებობაზე გამწესება.

თამარ გურჩიანი - ჩემი აზრით ეს სულ სხვა კატეგორიის საკითხია. იმიტომ რომ ვერც საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმდება პირი, თუკი ოდესმე საარჩევნო კანონმდებლობა აქვს დარღვეული. ეს არ არის დისკრიმინაციის თემა. იმიტომ რომ მართალია სახელმწიფომ ყველა ადამიანს უნდა მისცეს გამოსწორების შანსი და ადამიანები სწორედ იმიტომ იხდიან სასჯელს, რომ სახელმწიფოს მათი გამოსწორების იმედი აქვს, მაგრამ არის სფეროები, სადაც ლეგიტიმურია ის, რომ ადამიანებს აეკრძალოთ მონაწილეობა და სამსახურის გაგრძელების უფლება.

თამარ კორძაია - არსებობს ლეგიტიმური შეზღუდვები. მაგალითად, სწორედ ახლა ვმუშაობთ „თავისუფლების ქარტიაზე“, სადაც კომუნისტური რეჟიმის მოსამსახურეებს, კომუნისტური პარტიის წევრებს ეზღუდებათ გარკვეულ თანამდებობზე საქმიანობა. ეს კანონი ჯერჯერობით არ მუშაობს, მაგრამ იმედია უახლოეს მომავალში ამუშავდება. ამ შეზღუდვას აქვს თავისი ახსნა. სწორედ ეს მუხლი გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით. აქ მთავარი ის არის, რომ მათ განსაკუთრებულ ადგილებზე ეზღუდებათ საქმიანობა, თორემ ზოგადად ცხოვრებაში დისკრიმინირებულნი არ არიან და სხვაგან საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება ნამდვილად გააჩნიათ.

გიორგი გოცირიძე - ეს შემთხვევა სხვა კატეგორიაში გადის, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანასწორობის უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს რაღაც მიზნებთან დაკავშირებით. გაჩნდა ორი მიზანი: საზოგადოებრივი ზნეობა და საზოგადოებრივი წესრიგი. თუკი ამ მიზნებს პასუხობს და არის პროპორციული საშუალება, ასეთ შემთხვევაში თანასწორობის უფლება მეორე პლანზე გადადის და წინა პლანზე გადმოდის სხვა ინტერესი. თუ ეს ორი ლეგიტიმური მიზანი არ არსებობს, თანასწორობის უფლება ძალაშია და ადამიანს შეუძლია თავისი უფლების დაცვა სახალხო დამცველთან ან სასამართლოში. მექანიზმები ჩემი აზრით არ არის ეფექტიანი, მაგრამ შეგიძლიათ მათი გამოყენება თუნდაც იმ ნიშნით, რაც თქვენ ახსენეთ. ეს ნიშანიც არის გათვალისწინებული „და სხვაში“.

თამარ გურჩიანი - ყველას დიდი მადლობა ასეთი საინტერესო დისკუსიისთვის. დიდი მადლობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს გულწრფელი გარემოს შექმნისთვის. იყო დრო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ასე გულწრფელად ესაუბრათ. მე მგონი ნელ-ნელა ეს კულტურაც იცვლება. ბატონი გოჩას ოპტიმიზმი ალბათ ბევრ ასპექტში უნდა გავიზიაროთ. მადლობა ყველას მობრძანებისთვის, საინტერესო კითხვებისა და კომენტარებისთვის.